

ხალკობრივი ვერცხლი

საშუაბათი
2
ოქტომბერი
№ 107 (11593)
1990

ქართული
ბიბლიოთეკა

ქართული
1921 წლიდან

საქართველო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები



30 სექტემბერს შედგა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები. ექვსი პოლიტიკური ბლოკიდან კონგრესის შემადგენლობაში კანდიდატებად 854 კაცი იყო წამოყენებული. მათგან 200-მა უნდა დაიკავოს ადგილი ახალ არჩევით ორგანოში. კონგრესმენების სიები უახლოეს ხანებში, არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ გამოქვეყნდება.

სურათი: ამომრჩევლები ეცნობიან პოლიტიკური ბლოკების კანდიდატა ჩიებს; ცენტრალურ ხარჩევნო კომისიასთან (რუსთაველის პარკი).

პაატარჩევნების ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„მოგვასთა ჩვენთა გუნდი ვუყაროთ“

საყვარელო შეილებო, მოგმართავთ ყველას თხოვნით, რომლებიც სულით და გულით იბრუნებით დანიარეული ქართველი ერის თავისუფლებისათვის, იყავით მიმკვებელი ერთმანეთისადმი, გიყვარდეთ ერთმანეთი, ჩვენი გამარჯვება ოლოდ ერთიანობაშია. გახსოვდეთ მერაბის დატოვებული ანდერძი: გიყვარდეთ ეროვნული მოძრაობა და არა თქვენი თავი ეროვნულ მოძრაობაში.

„სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება. შემწყნარებელი მყის ხომისის პირუთენელ მსაჯულს, თავისმოდრეკით დამდაბლების ეს შემაერთება არ იავარპუფის, არ დალაშქრავს ან რომელ ქაჯეთს.“ (ლირს მამა დაივს)

„შეგადლებინე, მალალო ღმერთო, მოყვასთა ჩვენთა მუხლი ვუყაროთ. მოძმე მკურდიდან არ მოგვიკვეთო, ტრფიალი მისი არ განგვიქარო.“ (იყავ უმწიკვლო)

ბავშვობიდანვე ზვიადი მერაბთან ერთად იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში არსებულ... მოძრაობის წინააღმდეგ, იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის. კო კიდე მამონ, როდესაც ხმის ამოღებას ვერაფერ ბედავდა. მათ ავიწროვებდნენ და სდევნიდნენ. მაშინ ეს თავგანწირული ბრძოლა გმირობას უდრიდა. ზვიადს ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ მის არასოდეს არ უზრუნია საკუთარი კეთილდღეობისათვის, მისი ერთადერთი საზრუნავი და საფიციარი ყოველთვის იყო და არის სამშობლო, ყველაზე წმინდა, რაც კი ადამიანს გააჩნია.

მე ყოველთვის მიკვირდა, ბავშვობაში ზვიადს არასოდეს უთამაშია. მუდამ პატარა კი, როდესაც ჩვენთან მოვიდოდა, სულ პოლიტიკაზე საუბრობდა. „მერაბს, საქართველო დაპყრობილია, ჩვენ უნდა გავხანთავისუფლოთ“ — ეუბნებოდა ხშირად იგი მერაბს. ამიტომაც იყო, რომ ბავშვობიდანვე მერაბი ზვიადს განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდა. მისი აზრით, ზვიადს პირველობაში ვერასოდეს ვერაფერი ვერ შეეცდებოდა. აკი უძღვდა კიდეც მან ზვიადს შესანიშნავი ლექსები: „მამს ქრისტესმირს“, „პაემანი“, „მეგობარ ზვიადს“ და სხვა.

„სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა, მოყვასისაგან რად განისაჯე ღირსო უკვდავთა დიადემისა.“ („მამს ქრისტესმირს“).

მე, როგორც მერაბის დედა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზვიადის და მერაბის მეგობრობა იყო ყოველთვის ქრისტესმირი, ქვეყნის და შეუბრალო და ძალიან განვიციდი, როდესაც ჩირქს სცხე-გინ მათ მეგობრობას. აკი თვითონაც განაცხადა გარდაცვალებამდე მცირე ხნით ორე მერაბმა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ზვიადის იუბილეზე: „ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენა, მაგრამ ეს ვერაფერი ვერ შეძლო, ეს არასოდეს არ მოხდება, მაგრამ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მე მაშინ ვიყავი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი უძვე ქვეყნის დაპყრევას უდრის.“

„აბოგნე უფალო, ერი შენი, და აქურთხე სამკვიდრებელი შენი ძლევა ჭვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მთანი-ქე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა. ამინ!“

ოლღა დეჟურია-პოსტაპაპი
30/IX-90

თავისუფლების ზღურბლთან

მთელი ჩემი ხანგრძლივი შეგნებული ცხოვრება ჩემი სამშობლოს თავისუფლების ერთი დაუოკებელი მოლოდინია. დღეს, როცა ის მის ზღურბლთან იმყოფება (ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია მე), მეც მაქვს უფლება და მოვალეობაც, რომ ჩემი აზრი გარკვევით ვუთხრა ჩემს ხალხს, თუ როგორ უნდა გადაილახოს ეს აკრძალული რუბიკონი.

„მემაღ ქართველი ხალხი იმყოფება მისი ეროვნული ყოფის მკვეთრ გარდამტეხ ფაზაში, დიდ საპასუხისმგებლო გზაჯვარედინზე. ინგერევა უსასტიკესი და უბოროტესი იმპერია, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები. თუ რა მიზეზებით და რა ძალებით, ეს ჩემს ამ საუბრის თემს არ შეადგენს. არც ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით არსებული მდგომარეობის აღწერით შევსწავნე თავს მკითხველებს. მათ ჩემზე უკეთ იციან, რადგანაც უშუალოდ საკუთარ ზურგზე გახიციდნან ირგვლივ გამწვანებულ მატერიალურ სიღლებურეს, უსამართლობას და ბოროტობას. მათ უნდა იცოდეთ, ასეთი ანარქიის განხარგრძლივება ყოველ დაუშვებელი და დამღუპელია. თუ დროზე დემოკრატია არ იხიება, ანარქიის უქვეყნად ბოლოს მოუღებს ან ეროვნული რევოლუცია, ან სიმპერიო ტოტალიტარში. ამ უკანასკნელს შესაძლებლობაზე დაუფარავად ლაპარაკობენ და კიდევაც სწორედ მოსკოვში. რუს ბონაპარტელთა შორის გენერალ როდიონოვსაც ასახელებენ, რომელმაც, როგორც ყველა ქართველისთვის ცნობილია, პოლიტიკური კარიერა თბილისის ცხრა აპრილის ხოცვა-ჟლეტით გაიკეთა.“

ეროვნულ რევოლუციას დიდი სიფრთხილე ესაჭიროება, მაგრამ მან ქართველი ხალხი არ უნდა შეამინოს. ეროვნული რევოლუცია, თუ მისი ნამდვილი მიზანი, დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, დემოკრატიული მშროველობის, თავისუფლების და მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებაა, არამც თუ დასავლობა არაა, არამედ სასურველიცაა. თუ ხალხთა ისტორიების გაცხედილობით ვინმე მოგვანებოდა, არ არსებობს მაგალითი იმისა, რომ რომელიმე დამპყრობელი ერი დამპყრობის კანონებით განთავისუფლებულიყოს. დემოკრატიაა, რომ ჩვენ ვიცით ეს უძველესი მაგალითი.

ქართული ეროვნული ემიგრაცია, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვახლავართ, მუდამ იბრძოდა ქართველი ერის ეროვნული განთავისუფლებისა და დემოკრატიული წესწყობილებისათვის. ჩვენ მივცემთ მთლიან საბჭოთა კავშირში დემოკრატიის აღორძინებას. ჩვენ არც ისე გულუბრყვილონი ვიყავით, არ გვეცოდნოდა, რომ არც დემოკრატიული რუსეთი არ მიაღწევდა მოსაკითხვით ქართველ ხალხს ეროვნულ დამოუკიდებლობას, მაგრამ გვემხდა კი, რომ, ისეთ განვითარებულ და გათვითცნობიერებულ ხალხს, როგორც ქართველებია, დემოკრატიაში გაუადვილებოდათ სახუკარი მიზნის მიღწევა.“

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ბატონ მიხეილ გორბაჩოვის რუსეთი ჭერ კიდევ შორსაა ქვეყნის დემოკრატიისაგან, იგი მხოლოდ დემოკრატიისათვის თამაშობს, მაგრამ თავისუფალ აზრს იტანს და მცირე-მცირე დროით დემოკრატიის ნემსებს უშმაპუნებს რუსებს გამარჯვებულ კანქვე. მე მგონია, რომ მაინც ჩვენს მდგომარეობა უნდა გამოვიყენოთ, ხელიდან არ გაუშვათ შენთხვევა, ენგერეულად ვეცადეთ ჩვენთან მაინც გავაღრმავოთ და დავამკვიდროთ დემოკრატია და იმავე დროს მტკიცედ დავიზამოთ ეროვნული განთავისუფლების დროის ქვეშ.“

ეროვნული განთავისუფლებისათვის, როგორც დიდი ილიაც ბრძანებდა, აუცილებელი პირობაა ერის ყველა სასიცოცხლო ძალების ერთობა ისე, რომ თავისუფლება არ დაზარალდეს მეც მეგონა, რომ, ილიას მდგომარეობით, ეროვნული მოძრაობა ადვილად შეძლებდა მოქმედების ერთობა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ეცხობა ჭრჭერობათ ეს ვერ ხერხდება. ამის

მიზეზი ბევრია და მათზე ხშირად საუბრობენ საქართველოს პრესაში. პოლიტიკური მოღვაწე უფრო მეტად რეალისტი უნდა იყოს, ვიდრე იდეოლოგ-თეორეტიკოსი. დღევანდელი საქართველოს სინამდვილე კი ისეთია, რომ საქართველოს მოსახლეობას (და არა მხოლოდ ქართველებს) დაუყოვნებლივ ესაჭიროება მისი (სრული თუ არა ნაწილობრივი მაინც) ნდობით აღჭურვილი ძალაუფლება. ეს კონსტატაცია კიდევ უფრო აძლიერებს მოსახლეობას, რომ აუცილებლად, გადამდებლად განხორციელდეს გამიზნული არჩევნები.

არჩევნები რომ დემოკრატიული და უბრალოდ წესიერი იყოს, ესე იგი ამომრჩეველთა ჰემარიტი ნებას სურვილი გამოხატოს, ამისთვის არ ქარა კარგი კანონი. ამას უდავოდ დასამტკიცებლად საქარისთა გავიხსენოთ სტილინის კონსტიტუცია და მაშინდელი არჩევნები. პატიოსანი, დემოკრატიული არჩევნებისათვის კარგ კანონთან ერთად საჭიროა: 1. სამოქალაქო მშვიდობა, ამომრჩეველთა და დემოკრატია სრული უმომროება, რაც ჭრჭერობით საქართველოში არ არსებობს. 2. არჩევნებში მონაწილე პარტიების თანასწორობა. თანასწორობა არა მარტო კანონის წინაშე, არამედ ნივთიერად, ორგანიზაციულადაც და ოპერატიულიადაც. ჩვენს შემთხვევაში კი მხოლოდ კომპარტიის ხელშია სახელმწიფო აპარატი, მის განკარგულებაშია განუსაზღვრელი თანხები, მხოლოდ მას გააჩნია მთელი ქვეყნის მასშტაბით პარტიული ინფრასტრუქტურა, საბოლოო ანგარიშით ის აწყობს ამ არჩევნებს და კონტროლის სადავეებიც მის ხელთაა. ასე რომ, დემოკრატიაზე და თანასწორ შესაძლებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. აქ ერთი მხრით გოლიათთა და მეორე მხრით პატარა უიარაღო დავითი, მაგრამ მაინც დავითის გამარჯვება გამორიცხული არ არის და ქართველ მამულმშვიდობის სიმბოლოებიც მის ხელშია. 3. ქვეყანაში, სადაც მოქალაქეობის სტატუსი არ არსებობს, არჩევნებს არ ძალუბთ ზუსტად გამოავლინონ აღებული ქვეყნის პატრონი ერი მხარეზე იქნებოდნ. არცერთ დემოკრატიული ქვეყნის სახელმწიფო არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობს უცხო ერის შვილი, თუ მას მოქალაქეობა არ აქვს მიღებული, რასაც საქარისად დიდი დრო უნდა, გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს და სახელმწიფო დადგენილებით ხორციელდება. ჩვენს პირობებში არაქართველ ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა, ე. ი. მთელი ამომრჩევლების 30-35 პროცენტი ხმას მიცემს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე დემოკრატობის კანდიდატებს. და ეს მაშინ, როცა ასი ათასობით საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგანაც მათი მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. ამას თუ დავუმატებთ საიმპერიო ორგანიზების აშკარა თუ ფარულ ზემოქმედებას, მაშინ თითქმის წინასწარ ცხადი უნდა იყოს, რომ არჩევნები ჩვენ იმედებს ვერ გაამართლებს.

მოუხედავად ამისა მე მაინც იმედი მაქვს ქართველი ხალხის მალე მოქალაქეობრივი შეგნების, რითაც ის დაძლევე ყველა ზემოთ აღნიშნულ დაბრკოლებას და მათურად ხმას მისცემს მართლ ხეობის, მტკიცე ხალხის, საქმით თავგამოჩენულ, ადამიანის და ჩვენი ერის განთავისუფლების ბრძოლაში ნაწილობით მამული შვილებს. მათი გამარჯვება იქნება საქართველოს გამარჯვება და თუ ასეთი უმრავლესობა აღმოჩნდება არჩეულ ორგანოში, მაშინ იგი, რაც არ უნდა ერქვას მას, იქნება საქართველოს სუვერენობის მატარებელი და მას ელის უჩვეულო და ძნელი გზა, მაგრამ რაოდენ დიდებული და აღმაფრთოვანებელი.

გიორგი წაბეთელი,
პარიზი, 14. 09. 1990.

ოლღა დეჟურია - ქალაქი



1989 წლის 3 მარტსა და 1990 წლის 2 თებერვალს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ საშუალებით საქართველოს მთავრობის, ქართული ინტელიგენციის, სამწერლო და საისტორიო საზოგადოებებისა და ყველა სხვა აურაცხელი ფორმალური თუ არაფორმალური საზოგადოებების წინაშე როგორც შემქმნელი წარმოგახინჯი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარ საარქივო სამმართველოს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლებობები.

სასწრაფოდ შეიქმნა სამთავრობო კომისია ქან მარიკა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. კომისიამ (წევრები: ბატონი — როინ მეტრეველი, ედიშერ ხოშტარია, ზანა ალექსიძე, ელიზბარ ჯაველიძე, ფარნაოზ ლომიძე, ვახტანგ გურგენიძე, ლევან პილაშვილი, თორა ქორინია, ლევან თოიძე, ზურაბ ჟვანია, გივი ზურაბულაშვილი) (მთავარი საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები), ამირან თავართქილაძე (ცენზორი), ამირან თავართქილაძე (ცენზორი) და დასახელებული პუბლიკაციების ავტორი) მანველი მიამარა სახელმწიფო არქივს. საისტორიო არქივის ბოლო საარქივო ქან მარიკა ლორთქიფანიძემ და სხვებმაც თავისი თვალთ ნახეს როგორც სასწრაფოდ აწყობდნენ (გაუმართლად) სველსა და ნესტიან საარქივო მასალებს სპეციალურ კოლოფებში, ცდილობდნენ კომისიის წევრთა თვალთაგან დახიანებული დოკუმენტების მოფარებას.

შემდეგ დაიწყო ალ. მანელაშვილისა და მისი მომხრეების დაცვა. კომისიის წევრთა შორისაც ირინა თუი ბატონი მანელაშვილისა და ბატონი ზურაბ ჟვანია (საკითხავია ვის მოევიდა ახრად ბატონი ჟვანია კომისიაში შეყვანა, მაშინ როცა 2 თებერვლის წერილში მის მიმართ მრავალი პრეტენზია იყო გამოთქმული) მხარდაჭერა აშკარად ტენდენციურად გამოსვლებმა. გაოცებული ვარდით, მამონიშვებდნენ მე(ღ) და ვახტანგის რედაქტორს, ძალზე ენერჯიულად ცდილობდნენ მხელაშვილისა და ჟვანიას დაცვას, ამიტომაც მე, ბატონებმა ვახტანგ გურგენიძემ და ელიზბარ ჯაველიძემ კომისიაში მუშაობაზე უარი განაცხადებდნენ. მე წერილობით ვამოწმებ ჩემი პროტესტი და ქან მარიკა ლორთქიფანიძის სახელზე განცხადებაც დავწერე. საქმეოდ უხერხული და უსამართლო აღმოსაფერო შეიქმნა. ქან მარიკა და ლავარქვიანი, რომ საკითხი ობიექტურად იქნებოდა შესწავლილი. ჩვენც დავრჩით კომისიაში.

ჩვენი კომისიის მიერ გაწეული შრომის შედეგი, დასკვნა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საქმიანობის შესახებ“, აგრე უკვე ოთხი თვეა პროექტის სახით არსებობს. კომისიის ზოგიერთი წევრის არ მოსონის ეს პროექტი და, რამდენადაც ვიცი, თავს იკავებს ამ დასკვნაზე ხელმოწერისაგან. როდის მოაწერენ კომისიის პატრიცეული წევრები (ბატონები ედიშერ ხოშტარია, თორა ქორინია, ზურაბ ჟვანია, ლევან თოიძე და გივი ზურაბულაშვილი) ხელს ამ ისედაც, ჩემი დროა რწმენით, შედგათან, ნაკლებ პროექტს, არაფერ იცის. დრო კი მიდის. ჩვენი არეული ყოფიერებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე ვიღას ემსახურება ზემოთ ნახსენებულ ჩემი წერილები და იქ ჩამოთვლილი პრობლემები.

მანამ ჩვენი კომისია, ნიშნის კომისიისა არ იყოს, დროს ნების თუ უნებლიედ წელდება, მზნდა კიდევ ერთი საგანგაშო ამბავი. დაიკარგა ეროვნული უნივერსიტეტის საარქივო დოკუმენტები. „ახალგაზრდა იუვერელი“ (25.IV.1990) გამოქვეყნდა უნივერსიტეტის მუზეუმის თანამშრომლის ზურაბ გაბარაშვილის ერიული წერილი „ეპიკრიოსის თაისის საიდუმლო ანუ რა ზდება სახელმწიფო არქივი“. ამ წერილში ჩვენი კომისიის შეფუთვა, მარამ, როგორც ჩანს, შეფუთვად ძალზე წამიერი აღმოჩნდა. არაფერ გამოიძიეს, არსად აღიარებულ თქმულა. ღმერთმა გადმოგვხელა, შემთხვევით მიაკვლიეს უნივერსიტეტის არქივის იმ დაკარგულ ნაწილს და საქმეც ამით დაასრულეს!

ძალზე მივიჩნია ჩვენი მთავრობის, მისგან შექმნილი კომისიის და მისი თავმჯდომარის უმოქმედობა! ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ, საზოგადოებრივ სამსახურზე გამოვიტანო და თქვენც ვაგაძნოთ იმ დასკვნის პროექტი, რომელსაც კომისიის მუშაობის დამაპირებელი დოკუმენტად გამოცხადება არ ეღიარა. ამ ისიც:

პროექტი

ცნობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საქმიანობის შესახებ

1989 წლის 3 მარტსა და 1990 წლის 2 თებერვალს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა ქან ი. ორჯონიკიძის ორი წერილი, რომელშიაც მოთხოვნილია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივებში დოკუმენტების შენახვისა და დაცვის საქმეში სხვადასხვა დარღვევების, ზერელობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტების შესახებ.

კომისიის წევრების მიერ აღვიწერე შემოწმებული იქნა აღნიშნულ

საპროექტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გაბონ ნოდარ ჭითანავას ყველას, ვისაც აღელვებს ეროვნული სიკვალთსახვევის გედი

საგანებო წერილებში მოყვანილი ფაქტები, საქართველოს სსრ კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის საქმიანობა და ააღებდაი ფიქრების დაზიანების ფაქტებიდან დაკავშირებულ მოვლენათა მთელი გარემოება.

საკითხის შესწავლამ დაგვანახა, რომ 1988 წლის მარტში თვით არქივის სპეციალისტების (ამხ. კოზოძე, სანოია) მიერ შეტანილი იქნა და სიტყვიერად ვარგისად ჩაითვალი ბოტანიკური ბაღის გასასვლელი გვირაბის მიმდებარე სათავსოები. აბრილი მთავარი საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობის (ამხ. ა. მანელაშვილის) სიტყვიერი დავალების შესაბამისად, დაჭირებული მუშახელის გამოყენებით, შესატყვისი ინსტრუქციების დაწესების დარღვევით აღნიშნულ გვირაბებში გადატანილი იქნა 8456 შესანახი ერთეული კინოფირი.

უკვე ივლისის თვეში გამოიკვია, რომ აღნიშნული საკვები უვარგისია მაღალი ტენიანობისა და წყლის დენის გამო. რასაც თავდაპირველად აღნიშნავენ კინო არქივის თანამშრომლები (ლ. სონაძე, შ. მახარაბედიძე) და ბოტანიკური ბაღის მუშახელები.

1983 წლის აგვისტოში საქართველოს ხელმძღვანელობამ მთავრობის უფლებამოსილებით მიიღო რძის კომბინატის სამოქალაქო თავდაცვის სადგავი. სპეციალისტების აზრით იგი აკმაყოფილებდა შესატყვისი ნორმებს.

კინომასალების გადატანა აღნიშნულ საცავში კვლავ ხელმძღვანელობის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე განხორციელდა, შესატყვისი წყების დაცვის გარეშე და დაჭირებული მუშახელის გამოყენებით. ამასთან, აღნიშნულ საცავში საარქივო კინო მასალა განლაგდა ინსტრუქციის სრული დარღვევით (ნეგატივი, პოზიტივი, ლავანდა, კონტრატივი), კერძოდ ოთხივე პირი ერთადერთ თაროზე, ერთმანეთის გვერდით განლაგდა, რითაც შეიქმნა შესაძლებლობა ოთხივე პირის ერთდროული დაზიანებისა. 1986 წლის 6 ივნისს რძის კომბინატის საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობისა და წვიმის ნაკუთრი წყლების გაუმართაობის შედეგად საცავში შევიდა წლის დიდი ოდენობა და დაფარა იტაკიდან 10 სმ. სიმაღლის მოცულობა. შესაბამისად აიწია ტენიანობამ, დასველდა კინომასალა გარკვეული ნაწილი.

მიღებული ზომების შედეგად ამოიტყმა წყალი, შეკეთდა სავეტილაციო სისტემა, გატარდა სხვა პროფილაქტიკური სამუშაოები.

აღნიშნული ფაქტი რძის კომბინატის მუშაკთა მიერ შეტყობინების შემდგომ, ცნობილი გახდა არქივისათვის მხოლოდ 11 მაისს, ხოლო შესატყვისი აქტი მომხდარი ფაქტის შესახებ 17 ივნისს, ანუ 40 დღის შემდეგ შედგა.

დაზიანებული, სველი, დამოილი და სხვა პირობებში აღმოჩნდა 4544 შესანახი ერთეული მასალა, საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

აღნიშნული კინო მასალები სასწრაფოდ, სამხედრო მოსამსახურეთა დახმარებით გამოტანდნენ ქან ცენტრალური საარქივო სამმართველოში და რამდენიმე დღის განმავლობაში განლაგდა ღია ცის ქვეშ. შემდგომ ეტაზე ობიექტური და სხვა მიზეზების გამო ხანგრძლივად (6 თვე) ვაგრძელდა აღნიშნული ფირის გარეცხვის სამუშაოები. ხოლო რესტავრაცია-აღდგენითი საქმიანობა დაიწყო მხოლოდ 1989 წლის მაისში ანუ მომხდარი ფაქტის 2 წლის და ზემოთ აღნიშნული საგანებო პუბლიკაციის შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს ის ობიექტური სინამდვილე, რომელიც წარმოიშვა შესატყვისი კინოფირის გამოტანისა და ფინანსური დახმარების გაწევის საქმეში, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელი შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 25 აპრილის განკარგულების შემდგომ. 5 ივნისს ფაქტობრივად ხელშეკრულდა ნიტროფორზე დატანილი დოკუმენტების მომხადენისა და კომბინატისათვის მარტო ხელფასის სახით გამოიყო 90 000 მანეთი. დღესათვის საქმეპროტოკოლშია 2.082 ერთეული კინოფირი, მათგან დაიბეჭდა 296 სააღრიცხვო ერთეული. მიმდინარე არააზრებულ აღნიშნული საქმიანობა ინტენსიურად მიმდინარეობს, დაჩრებითაა 400 შესანახი ერთეული მომხადენა — რესტავრაციული სამუშაოები, რომლის შემდგომ შეიქმნება შესაძლებლობა დაზიანებული და მთლიანად დაღუპული კინომასალათა რაობისა და რაოდენობის დახსენებისა.

დღესათვის დაკარგულად (განადღურებულად) ითვლება 8 კინო დოკუმენტი, რომელთა ასლების ძიება მიმდინარეობს ჭარ კიდევ დაუშუქებელი (400 ერთ.) მასალებში და სხვა პროფილურ კინო საცავებში.

ამასთან, კინო-მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა სახით დაზიანებულია (დაკარგულია, რთვი კარები ამოვარდნილი და წაშლილია, ფონოგრამა და გამოსახულებდა არამდგრადი და სხვა), რომელთა დამრეკვირება და დაბაბულ მუშაობასა და ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. აქაც რაოდენობათა საბოლოო ციფრების დაზუსტება შესაძლებელია მხოლოდ სარესტავრაციო-კომბინებით სამუშაოების დასრულების შემდგომ.

კომისიის მიანჩნა, რომ აღნიშნული ფაქტის გარემო ვაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სწორია. თუმცა დაზუსტებას მოითხოვს განადღურებული (დაღუპული) და დაზიანებული კინო მასალების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ამასთან, კომისია ეთანხმება პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კინო დოკუმენტური მასალების ეგზომ სავალი ვითარება შესაძლებელი შეიქმნა სტრუქტურული (შემთხვევითი) მოვლენათა განვითარებით და მასთან ერთად კინო არქივის პასუხისმგებელ მუშაკთა ერთი ნაწილის უფულისყურე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, რომლის დასატყობად ზემოთაღნიშნული კინო მასალის გადატანების ორგანიზაციის და შენახვის მოვლენათა პრობლემატიკური განვითარება გვიჩვენება.

კერძოდ: ზერელები, სათანადო ანალიზის გარეშე ჩატარდა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გა-

სასვლელი გვირაბის ტენიანობის დადგენის სამუშაოები. არ შედგენილა შესატყვისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია. კინო დოკუმენტების გადატანა ხორციელდებოდა წესების სრული დარღვევით (ტრანსპორტი, სიტყვიერი განკარგულებით, დაჭირებული მუშახელი). საფონდო მასალების განლაგება განხორციელდა ინსტრუქციის შესაბამისი მოთხოვნების სრული დარღვევით (ოთხივე კინო-ფირის ასლების ერთად განლაგება). უფულეველყოფილი იყო თანამშრომელთა ერთი ნაწილის აზრი კინო დოკუმენტების არქივდან გადატანის დაუშვებლობის შესახებ. სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელობის მხრიდან დარღვევათა არც ერთ ფაქტს არ მოყვა შესაბამისი რეაგირება, რამაც მნიშვნელოვანწილად დაუსტყოლობისა და პიროვნული პასუხისმგებლობის, დაპირისპირების არაჯანსაღი ატმოსფეროს შე-

ქმნას შეუწყო ხელი. შედეგად ამის დღესაც არქივის მუშაკთა ერთი ნაწილი თავს ამზამავედ არ გრძობს და მთლიანად სტიქიურ მოვლენებს უკავშირებს მომხდარ ფაქტს.

სამთავრობო კომისიის წევრთა ერთმა ჯგუფმა მოწვეული საცვალისტების მონაწილეობით შეისწავლეს საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკისა და ცენტრალური საისტორიო არქივის მდგომარეობა. გამოიკვია, რომ სავეტილაციო სისტემის გაუმართაობის პირობებში, ორთქლის დიდი ნაკადის გამოყოფის შედეგად ბიბლიოთეკისა და საისტორიო არქივის საცავებში (VI-VIII სართულები) დახესტიანდა წიგნებისა და საარქივო მასალების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რასაც მათი დაღუპვა არ მოჰყოლია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა განხილული.

ამჟამად შემინევა დიდი ზომის სქელყდინი წიგნების დეფორმაცია და ნესტი. მიღებული ზომების შედეგად აღდგენილია ვენტილაციის ნორმალური მუშაობა, გაშრობილია და ჩალაგებულია ცალკე ყუთებში ყველა დაზიანებული საფონდო ერთეული. დაწესდა მკაცრი კონტროლი ტენიანობისა და ტემპერატურის რეჟიმის დასახვედ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სავეტილაციო სისტემის გაუმართაობა მუშაობისა და შენობის გადახვევაში არსებული ხარვეზების შესახებ აღრევე იყო ცნობილი სამმართველოს ხელმძღვანელობისათვის. საისტორიო არქივის და ბიბლიოთეკის დირექტორებმა (ამხ. ზ. ჟვანია, ბ. ჩიკვიძე) რამდენჯერმე დასვეს პრობლემა. ვფიქრობ, რომ ობიექტური აღნიშნული ფაქტს ალბათ არ ექნებოდა ადგილი. რეაგირება განხორციელდა მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდეგ.

ვაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღნიშნულ პუბლიკაციაში საქართველოს სსრ მთავარი საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობა გაჭირვებულ იყო იმის გამო, რომ მთელი რიგი პასუხსაგებ და ხელმძღვანელ თანამდებობაზე წარმოდგენილი არიან ქართული ენის არამცოდნე სპეციალისტები.

კომისიის წევრთა ერთი ჯგუფი ადგილზე შეხვდა წერილში დასახელებულ ყველა პიროვნებას და ესაუბრა მათ.

გამოიკვია, რომ ყველა მთავანს განათლება მიღებული აქვს რუსულად, ამიტომ, ბუნებრივია, მათი სამეტყველო ენაც რუსულია. აღნიშნული ამზანებები ორიოდე გამონაკლისის გარდა, გამართული ქართული ვერც წერენ და ვერც მტყველებენ. ამასთან აუცილებელია ობიექტურად აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთავარ საარქივო სამმართველოში 1989 წლა-

მდე საქმის წარმოება მართლმართლულად სრულდებოდა, აღნიშნული ამზანებები დიდი ხანია მუშაობენ არქივში და კვალიფიციური მუშაკებად ითვლებიან.

კომისია ძირითადად იხირობდა ქან ი. ორჯონიკიძის წერილში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ მთავარ საარქივო სამმართველოში, იმ ეროვნული სიძველეთსკვის თანამშრომლებმა კარგად და იცოდნენ საქართველოს დემწიფო ენა. ამასთან — თორამ აღნიშნულ თანამშრომელ კვალიფიციის გამოყენება შესრულებულია რიგი მუშაკთა საკარგად აღდგენილების პირობებში.

ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს სახელმწიფო არქივში მთელი რიგი დაღუპილი ძეგლები შეინიშნება და მათი აღნიშნულმა პიროვნებმა გარკვეულად იმოქმედა საერთო განწყობისა და საქმიანობაზე. შესუსტდა დისციპლინა და სათანადო მოხონილება საარქივო მასალების შენახვისა და დაცვის მდგომარეობაზე. კერძოდ, შესაძლებელია მოვიყვანოთ ფაქტი, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში მოხდა, როცა დაიკარგა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1918-1924 წლის ოქმის საბუნდერიოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარევით ისინი მოიხებნა და გაიკვია მთელი რიგი გარემოებანი, რომელიც პასუხისმგებელ თანამშრომელთა ზერელობაზე მიგვანიშნებს. ვფიქრობ, მთლიანად ვადასახვედა და შესაცვლელია დაცვის, შენახვისა და დროებით მოხმარების არქივული სისტემა.

ამასთან ერთად კომისიის საპროტოკოლშია აღნიშნული, რომ უკანასკნელ ხანს მომხდარი ფაქტებისა და სხვა გარემოებათა გამო სსრკისად გამწვევდა ურთიერთობანი თანამშრომელთა შორის წარმოიშვა სხვადასხვა დაჯგუფებანი. საკითხი მწვევებია იმითაც, რომ არაერთგვაროვნა საზოგადოებრივი აზრი, რაც შესატყვისი რეზონანსს ქმნის თვით არქივის თანამშრომელთა საქმიანობაზე. ამაზე მიგვანიშნებს ბოლოდროს არქივის შენობასთან რთული მიტინგის შინაარსის მის გარემო გავრცელებული მათი.

კომისიის მიანჩნა, რომ პუბლიკის საარქივო საქმეში განსახორციელებულია მუშაობის მთელი სისტემის, ფორმებისა და საქმიანობის მიმართულბათა სრული გარდაქმნა, გადასახვედი მთელი რიგი მოძველებული დებულებები შენახვისა და აღრიცხვის, კარგებისა და შტატების აღდგომის განსახვევის შესახებ ჩვენი, მეცნიერთა, ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო საფონდო მასალების უკეთ წარმოჩინებისა და პროპაგანდის საქმეში. აუცილებელია ცოცხალი საქმიანი ურთიერთობანი სხვა საკავშირე და მსოფლიო არქივებთან ჩვენი საინტერესო მასალების მოძიებისა და გამოცემისათვის. რესპუბლიკის მთავრობამ შესატყვისი ფინანსურ და სხვა სახის დახმარება უნდა აღმოუჩინოს ეროვნული სიძველეთა დაცვის საქმის ორგანიზებას.

ვფიქრობთ თვით სახელმწიფო არქივების თანამშრომელთა და კომისიის წევრთა მონაწილეობით უნდა შემუშავდეს საარქივო საქმის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებები, რომელთა განხორციელება სამთავრობო დონეზე განხორციელდება და მიღებული იქნება შესატყვისი გადაწყვეტილებანი.


ამიტომ აღნიშნული კომისია არ უნდა შემოიფარგლოს მარტო საკითხის შესწავლით და თავისი საქმიანობა უნდა ვაავრცილოს საარქივო საქმის მთელი სისტემის გარდაქმნისა და გაუმჯობესების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

აქ თავდება კომისიის დასკვნა და ჩვენი მოთხოვნებიც! დაე, საზოგადოებამ განსახოს ყოველივე. იმედია, საქართველოს მთავრობა ამჯერად მიიღებს უწყობილებოდ არ დატოვებს ეროვნული სიძველეთსკვის ბედ-იბდლის გადაწყვეტის საშურო საკითხს.

დღეაქალაქში ორი ლენინის ძეგლი ავიღეთ, იქნებ მანელაშვილის უფრო მეტი დამსახურება აქვს ბჰოთა ხელისუფლების წივლრე ვლადიმერ ულიანოვის!

პრესანის ბრძოლის გაკვეთილები

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს (ძველი სტილით 11 სექტემბერს) შესრულდა კრწანისის ბრძოლის 195 წლისთავი, ბრძოლისა, რომელიც იყო თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი დიდი შერკინება ჩვენს ისტორიულ მოწინააღმდეგეთან ირანთან და რომელმაც გადაწყვიტა „ბედი ქართლისა“.



„ბედი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღაროთ თმითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოღრუკა მომინდა!“
ლადო ასათიანი

საუბედუროდ ბრძოლა წაგავით. წაგავით იგი რუსეთის მთავრობის უზენაეს-ვერაგობისა და თბილისში მომძვინვარებით მცხოვრებ უცხო ტომებთან ლაშქრის გამო.
დავიწყებ სხვათა მიწების დაპყრობა-მომძღვრებით გატაცებული ცარიზმის მუხანათობით. რომელმაც 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის შორის დადებული სამხედრო პოლიტიკური ხელშეკრულება ხელმოწერის დღიდანვე ფარავნად ქალაქად აქცია. სამაგიეროდ გეორგიევსკის მკვდრადმოხდის ტრაქტატის დადებით იკატერინე II მთავრობამ საქართველოს დასუსტებისა და მისი ადგილად ხელში ჩაგდებას მიზნით ჩვენს სამშობლოს არსებობის მთელი მამამადასურსი სამყარო აუშვებდა. დახმარებით კი თითოც არ გაუძენდნენ.

მეფის რუსეთი არ დასჯერდა ჩვენს წინააღმდეგ ირანის, თურქეთისა და მამამადასურსი სახანოების ამხედრებას. ცარიზმის ვერაგობა და ქვეყნარმაცობა იქამდე მივიდა, რომ მან საიდუმლოდ წააქეზა ირანი საქართველოზე თავდასასხმელად. მოვეწმინოთ პროფესორ აპოლონ როგავს. თავის წიგნში „კავიტალიზმის ჩანასახი საქართველოში“ და ერეკლე II პოლიტიკა“ (რუსულ ენაზე) იგი წერს:
„მეფის თვითმპყრობელობამ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი (თავი I), საქართველოში საიდუმლოდ შეიქმნა „ა. შ.“ (ალა-მამაძე) და „ა. შ.“ და, მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერეკლე II-ის „ძლიერების დასუსტების“ მიზნით, ნება დართო მას 1795 წლის სექტემბერში გაენადგურებინა თბილისი — ერეკლე II სატანტო ქალაქი და საქართველოს, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მოძრაობის ცენტრი მისი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დაწესებულებებით“ (გვ. 254).

სწორედ ამ ფარული და მზაკვრული გარიგების გამო იყო, რომ ერეკლე II უფროც არ შეიძებნებოდა ერეკლე II მრავალგზის თხოვნაზე ტრაქტატის საფუძველზე და-

ხმარებოდა მას ირანთან კარს მომდგარ ომში. როგორც ისტორიკოსებმა დაგვიანახა, ცარიზმმა ჩვენთვის ერთი ჯარისკაციც და ერთი ქვემეხიც კი ვერ გაიშვია საქართველოსათვის ამ საბედისწერო ომში. ცარიზმმა იცოდა. თავისი საქმე: დასუსტებული საქართველოს მიტაცებით ხელთ იგდებდა მთელს ამიერკავკასიას და გააჭრებოდა მისთვის სანუკვარი „თბილისი ზღვებისაგან“. ავღანეთის ავანტიურაც რომ ამას ისახავდა მიზნად!

სამიგად, ცარიზმთან ფარული გარიგებით გაანგებებული ალა-მამაძე-ხანი თავის 35000-იანი მხედრობით გულსრულად უახლოვდებოდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. სამწუხაროდ, რუსეთის დახმარებით იმდენი მტერს სათანადო რიცხოვნობის ლაშქარი ვერ დავახვედრეთ. ერეკლე II და სოლომონ II ერთიანებული ლაშქარი სულ 5000 მეომარს ითვლიდა. რაც 7-ჯერ ნაკლები იყო სპარსელებთან შედარებით.

დიდგორთანაც მტერზე 7-ჯერ ნაკლები ვიყავით. მაგრამ ქართველ მხედართმთავართა უდიდესმა სტრატეგიულმა და ტაქტიკურმა ნიჭმა, ჩვენი მეომრების საარაო გამირობამ და თავდადება, საქართველოს გენიალური მეფის დავით აღმაშენებლის მეთაურობით უბრწყინვალესი გამარჯვება მოგვაპოვებინა.

მტრის დიდ სიკვარბეს არც კრწანისის ქართველი გამირობი შეუკრთა. კრწანისის ორდღიანი ბრძოლიდან 10 სექტემბრის ბრძოლა ჩვენ მოვიგეთ — ტახტმელამანდისის მიდამოებში ალა-მამაძესთან ლაშქარში ჩართულ მხედართა მძიმე დარტყმები იგვმა. 10 სექტემბრის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებით შეფიქროანებულმა ალა-მამაძე-ხანმა ბანაკის აყრა ბრძანა და ირანს გაქცევა დააბრძანა... მაგრამ არ ირანსა სიტანას!

10-11 სექტემბრის ღამის თბილისში მყოფმა ორმა უცხო ტომელმა (თბილისის მოქალაქეებმა) ღამით ცხინიდან გააპარა ირანის ელჩი მეჩხუნო. რომელმაც დიდი ფიცით დაარწმუნა თავისი მშობნებელი ქართველთა მხედრობის სიმტკიცე.

ხოლო რა მოხდა მეორე დღეს — 11 სექტემბერს იკატერინე II მწკვრობისა და მოლაღატეთა წყალობით, ეს მთელმა ჩვენიერებამ იცის.

მაინც მეტად ძვირად დაუჯდა კულურ საქურის ჩვენი დამარც-

ხება. ძალთა აშკარა უთანასწორობის მიუხედავად, იყო მომენტები, როცა 11 სექტემბრის ბრძოლაშიც გამარჯვების სასწორი ქართველ გამირობა მხარეს იხრებოდა. ყველა მათგანი სწორუბოვარი თავდადებათ იცავდა მშობლიურ მიწას. ყველასთვის მაგალითს მიცემენ თვითგმირი მეფე ერეკლე



II იყო. მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დნებოდა ქართველთა რიგები, ფიცხელ ომში სიმღერით კვდებოდნენ მაჩაბლის გამირობი. მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა... კრწანისის სეფდამ დასიადგურა ჩვენს მშობლიურ მიწაზე... კრწანისის ტრაგედია რომ არა, არ იქნებოდა 1801 წლის საქართველოს ანექსია მეფის რუსეთის მიერ!

ბევრი რამ დაიწერა კრწანისის გამირობულ და ტრაგიკულ ბრძოლაზე, მის გამირობზე, ბევრიც მომავალში დაიწერებოდა! მაგრამ აქ მსურს მკითხველის ყურადღება

მივაპყრო კახელი თავადის თამაზ ჯორჯაძის გმირობაზე, რომლის სახელსაც, სამწუხაროდ, დღემდე არ დაუკავებია თავისი ღირსეული ადგილი კრწანისის გმირთა გალერეაში.

საქართველოს საისტორიო არქივში მოვიძიე გიორგი XII მთავრის თამაზ ჯორჯაძის სახელზე გაცემული სიგელის პირი, რომელიც დათარიღებულია 1799 წლის 22 დეკემბრით. იგი შეიცავს ფრიად საინტერესო ცნობებს კრწანისის ბრძოლასთან დაკავშირებით.

სანამ სიგელის შინაარსს ვაღმოვცემდე, უნდა აღვნიშნო, რომ მისი პირი რუსულ ენაზეა შესრულებული, მის ქართულ ლექსს კი გულმოდგინე ძიების შედეგადაც ვერ მივაკვლიე.

თარგმანი რუსულ ენაზე შესრულებულია სწორედ სიგელის დედნის საფუძველზე, რომელიც ჯორჯაძეებმა რუსეთის წაღისუფლებას თავადის წოდების დამტკიცების მიზნით XIX საუკუნის 20-იან წლებში წარუდგინეს. სიგელი იწყება იმით, რომ გერ კიდევ თამაზ ჯორჯაძის მამა-პაპანი ერთგულად ემსახურებოდნენ კახე-

მირცხა და ტფილში შემოვიდა, იმ დროს მამა ბატონა ავღანობის კარის მხრიდან გავიდა და შენ, თამაზ, მამაცურად და თავდაწირვით შეხვედით ჩვენი განსვენებული მამა ბატონის სასაფლაოში და ჩვენი სასიგება — მოქვილილი წმიდა სახარება და წმიდა მოწამის ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები და სხვათა წმინდა ნაწილები და სხვა ძვირფასი ნივთები და თქროთი მოქვილილი ჯვარი, ხმალი და ხანჯალი გამოიტანე“.

ვიღი ვაყვაცობა და სიმამაცე გამორჩინა აგრეთვე თამაზ ჯორჯაძემ სანამ აღმოვლდებოდა დედაქალაქიდან სამშვიდობოს გავიდოდა: „როცა ქალაქში უკვე სპარსელთა ჯარი იმყოფებოდა, შენ მათ შორის გამიროვდადი გაიარე და გახვედი ავღანობის კარიდან, გამოეტყდა ჩვენი განსვენებულ მამა ბატონს გლდანში, რის გამოც მეფეს წირად გაუხარდა ზემოსწინებულ ფრიად ნაწილებსა და ნივთებისათვის და მისი განთავისუფლებისათვის“ (შესაძლოა „განთავისუფლებაში“ ფულისსებმა გაქსარებული ბრძოლის დროს სპარსელთაგან აღუაშენებოდა მკვლელობის ერაგლე მეფის გამოსხნა).

გლდანთან თამაზ ჯორჯაძე პატარა კახს ჩეთუღეთში გააყოლა და კვლავ ჩეთუღეთში ერთგულებითა და თავდადებათ უმსახურა მეფისათვის.

როცა გადაიქცა საქართველოს თავს დატეხილმა მეხთატეხამ, მდლიერმა ერეკლე II სახელოვან მამულიშვილს, კრწანისის გმირს თამაზ ჯორჯაძეს საქართველოს მთავრობა უწყალობა, რაც აგრეთვე ქმყოფობებით დადასტურა ქართველ-კახეთის მეფემ — გიორგი XII. 1799 წლის 22 დეკემბერს გაცემული სიგელით. ამ სიგელში მოხსენიებული არიან აგრეთვე კრწანისის გმირის ძმები: ბიძინა, დავითი, ზალი, ზურაბი და ნიკოლოზი.

უძველად აღსანიშნავია ისიც, რომ თ. ჯორჯაძის გმირული ბრძოლა კრწანისის ბრძოლაში კარგად ყოფილა ცნობილი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის, რომელიც ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითებს თავის უკვედაც პოემაში „ბედი ქართლისა“. აი ეს ადგლიც:

„თამაზ ენისენ მოურავის ძე და ირანე, კახთ ამაშივე განუშტკიცებენ მკლავთა ქართველთა“...

გიორგი XII სიგელში ხაზგასმითა აღნიშნული, რომ თამაზ ჯორჯაძე კახეთს სოფელ ენისელის მოურავის ვაჟია; ამრავალ, ნიკოლოზ ბარათაშვილს მხედველობაში ჰყავს სწორედ ჩვენთვის საინტერესო გმირი.

კრწანისის ტრაგედიაზე საუბარი მსურს დაგმთავარი მხურვალე გედრებით ყველა ქართველისადმი: ერთგული ერთობით, ურთიერთსიყვარულით, ურთიერთგაპატიონად და ერთგულითა და შორსმკვიტრელობით თავიდან ავიცილოთ ახალი კრწანისი, ახალი ბაზალეთი!

„ღმერთო, ისმინე ქართველის ვედრება!“

აბაბი მათიაშვილი,
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი.
24. 09. 1990 წ.

გთხოვთ ჰონორარი გადაიტყობთ მეორად კონტაქტს სახელობის ფონდში.

გვიქმნა ქართველ გავალთა კორპუსი


1990 წლის 12 მარტს საქართველოში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „ქართველ მამველთა კორპუსი“, რომლის დაფუძნებაშიც მონაწილეობდნენ ორგანიზაციები: სრულად რუსთაველის საზოგადოება, სულიერი აღორძინებისა და პარამორთული განვითარების ასოციაცია, საქართველოს

ალბიური კლუბი, გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისის ოც. ჯავახიშვილის საბ. უნივერსიტეტი, პედრომეტროლოგებზე აქტიური ზემოქმედების გასამხედროებელი სამსახური, თბილისის სახელმწიფო იმპროვიზი, ტურისტულ რესპუბლიკური საბჭოს სამაშველო სამსახური და სხვა რიგი საზოგადოებრი-

ვი და სახელმწიფო ორგანიზაციები.
წლელს. 17 სექტემბერს, № 495 დადგინილებით მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა რეგისტრაციით გაატარა „ქართველ მამველთა კორპუსის“ წყალობა. კორპუსის ძირითად მიზნება და ამოცანებს შეადგენს: სტიქიური უბე-

დურების ზონაში მოხვედრილი მონახლოებისათვის დროული და ეფექტური დახმარების გაწევა; წესრიგის დაცვა სტიქიური უბედურებისა და სხვა ექსტრემალური სიტუაციების წარმოშობისა და გავრცელების ზონებში, ზეგანაშიში პროცესებისა და მეწყერიული მოვლენების გამოვლენა, იმ რაიონებისა და ზონების კონტროლი, სადაც მოძრაობენ მთამსვლელოთა თუ ტურისტთა ჯგუფები; კორპუსის წევრთა მომზადება-დადამზადება და სისტემატური სასწავ-

ლო-საწვრთნელი ღონისძიებების ჩატარება; ხელისშეწყობა ქართველ ალბერ მამველთა ერთგული ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და მათი პროფესიული კულტურის, უნივერსიტეტის განმტკიცების საქმეში, მულტივი მზადყოფნა, სწრაფი ორგანიზაცია ყველა სახის უბედური შემთხვევის დროს, კოორდინირებული დახმარების გაწევა სტიქიით დაზარალებულთათვის, მათი ევაკუაციისა და შემდგომი განთავსების მერიოდში;



გერმანიაში ე. წ. დემოკრატიული რევოლუციის, რომელიც შემოკლებული გერმანიაში, სულს და...

მსოფლიოში ყველაზე პროგრესულმა ფორმაციამ — სოციალიზმმა, ვერავის იმედები ვერ გააპართლა, გარდა პარაზიტული პარტიული ფუნქციონერების მცირე ფენისა, რომლის „კოლონიალიზმი“ „ბელადები“ („ფიურერები“) სხვადასხვა დროს იყვნენ: მოდელიზმი, მაგრამ კრემლის მიერ ზურგამაგრებული, ვალტერ ულბრიხტი და სოციალისტური ფრანკებით შენობული შარავის ყაჩაღი, ერთი პონევიერი. მათ გერმანიის ერთი ნაწილი დააქციეს და დალუპების პირის მივიყვანეს, აღმავალი პირი აუტრუსი, სიმართლე არ თქვათ, მხოლოდ გერმანიაში აღვლენილი დიქტატორების მღერის უფლებას აძლევდნენ. ცხადია, იყვნენ გერმანიის ინტელიგენციაში ნაწილობრივ და თავდაპირველად მოკუყუებულნიც, მაგრამ თანდათან „გამოფხიზლებულნი“ (ისევე, როგორც ფაშისძის დროს: გოტფრიდ ბენი ან მარტინ ჰაიდენგერი): ბერტოლტ ბრეჰტი, იოჰანეს ბობროფსკი, კრისტა ვოლფ, შტეფან ჰაიმი, ერიკ არენტი, ვეიანი და კიდევ რამდენიმე მოღვაწე, რომელთაგან ზოგი გააძევეს, ზოგი დაავადდნენ და ზოგი საშინაო პარტიზანობაში ამყარდნენ (მე გველისხმობ მხოლოდ იმით, რომელიც გერმანული კულტურის მშვენიერად წარმოდგენდნენ და წარმოადგენენ).

...1985 წლის დამდეგს დასავლეთ გერმანიიდან, ქალაქ ვუპერტალიდან ერთ-ერთი „კურირის“ (არა ფოსტის) მეშვეობით ერთი ძალიან საინტერესო წერილი მივიღე. მასში ჯერ კიდევ „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ ჰეგემონიზაციის არ იყო და ჩვენ — ჩვეულებრივი მოქალაქეები ამის ბუნებრივი წინაფორმაც არ გვქონია, წერილი მეტრისებრად „დამაინტრიგებელი“ აღმოჩნდა. საგონებელში ჩავვარდი. ერთი მხრივ, შემეშინდა. წერილი ორ ჩემს უახლოეს მეგობარს ვუჩვენე და რჩევა ვკითხე. ერთმა მირჩიე, ახლავე დახეე და დაივიწყე მაგ წერილის არსებობა. მეორემ გამაფრთხილა: ცხადია, მათად სახეობაა ზეგწერილები. „გერმანია, მეორე მხრივ, ძალიან მაცდუნებელიცაა: ხომ ბედნიერი, რა საბატონო „კომპანიაში“ „გაღიხარა“...

მეორე მხრივ, მე ყოველთვის მახსოვდა, გოეთეს სიტყვები მისივე „ფაუსტისა“ „Ein garstig Lied! Pui! Einpolitisch Lied!“. ე. ი. „საზოგადოებრივი სიმღერა! ფუი! პოლიტიკური სიმღერა!“ (სოციალისტების თეოთოვითაა პარაზიტული, გიორგი ვორონოვის თარგმანში ასეა: „ფუი, რას მღერის! პოლიტიკურ სიმღერას მღერის!“). ასევე გოეთეს კომენტარის სიტყვები: „მოქმედე კაცს სინდისი არა აქვს (იგულისხმება: პოლიტიკოსი, ნ. კ.); მხოლოდ მკვრელს აქვს სინდისი“.

როგორც ცნობილია, გოეთეს გულწრფელად არ უყვარდა პოლიტიკა, ცდილობდა შორს ყოფილიყო ზოგადი პარტიული დაჯგუფებებისაგან, ვერ იტანდა პარტიების, პარტიულ ბრძოლასა და ქიშკობას (ისე ისიც უნდა ითქვას, რომ „ფაუსტში“ ზემოთხსენებულ სიტყვებს ამბობს აუტრუსის სარდალმა ერთი წყალწარმოების ლოთი სტუდენტი, ბრანდერი).

მაგრამ არსებობს აგრეთვე ცნობილი ინგლისელი დიპლომატისა და მწერლის, სერ ჰეროლდ ჯორჯ ნიკოლსონის გამოხატულება: მხოლოდ უფალმა უწყის, რა ერთულია პოლიტიკა, სადაც ადამიანთა გული და განება ზნობად კიანათში გაბმული ჩიტივით უმწიოდ ფრთხილდება. მაგრამ თუ საკმარისად არ აღვფრთხილდით დიდ უსამართლობაზე, თავად ვერასოდეს მოვხერხებთ სამართლიანი საქმეების ჩადენას“.

ჩვენ — მცირერიცხოვანი ერების წარმომადგენლებს, ალბათ, უფლება არა გვაქვს პოლიტიკოსობა მუქყანაში საქმელ მივიჩნიოთ — ჩვენივე სრული აპოლიტიკურობა დანაშაულის ტოლფასია. ანდა სხვაგვარად, პოლიტიკისაგან შორს დგომა, პოლიტიკისაგან თავის შეკავება თავისებური პოლიტიკაა, რაც დღევანდელ ვითარებაში მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთი სიტყვით, მე ყოველთვის შემიძვე რამდენადმე დაჟვლი შიში,

ნიკოლსონისაგან გადავიხარე, ცდუნებასაც ვერ გავუძელი და ვუპერტალიდან გამოვხვნილი წერილები რეაგირება მოვანდინე: ჩემი საპასუხო წერილი ისევ არა ფოსტით, არამედ „მორიგე“ „მეშვეობით ვუპერტალს ვაფრინე“, თუმცა, ცოცხა გამოტყუბილი ჯობია, შიშის გრძობა არ მშორდებოდა (ხალხი, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობაც: მისი „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ კონტრუბუცი არ ჩანდა...).

საქმე შემდეგი იყო: 1985 წლის 18 იანვარს, ქალაქ ვუპერტალის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა იოზეფ მ. პოისლინგმა დაამევე უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორმა 3 კითხვით მიმართეს ორივე გერმანიისა და საზღვარგარეთის თითქმის ყველა გამოჩენილი პოლიტიკოსს, „სახელმწიფო მოღვაწეს, მწერალსა და მეცნიერს, სხვებს შორის: რეიგანს, გო-

გერმანია

ბრაუნს, მიტერანს, მარგარეტ ტეტჩერს, პონევერს, კოლს და სხვებს. ამ ადრესატებს შორის სრულიად შემთხვევით მეც აღმოვჩნდი: შემთხვევით იმიტომ, რომ ვუპერტალის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ანკეტის შედგენასა და დაგზავნაში, გახლავთ ჩემი 30 წლის მეგობარი, ემიგრანტი მწერალი და გერმანიის, სოციალისტურ ინტელექტუალური და საზღვარგარეთის ბიზნადარი, ბრანდლისა და ვიცევერის დაახლოებული პირი, დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ მოძრაობაზე დიდ გავლენას რომ ახდენს, პროფესორი ლევ კოპელევი, რომელიც „შესულია თანამედროვე გერმანელ ავტორთა ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებშიც (კოპელევი რუსულის პარალელურად გერმანულადაც წერს, ჩვენი გრიგოლ რომაძისა და ნაბაკოვის მსგავსად ისიც ბილინგვალიურია, ორიენტირებული მწერალია). პოლა, სწორედ ამ კოპელევი, რომელიც საოცარი სიკეთითა და პირდაპირ ბავშვური გულბრუნებით ხასიათდება, ჩამოთო ადრესატების სიაში, თორემ სხვანიარად მე ვერასდროს მოვხვდებოდი იმით შორის, რომლებიც, როგორც ამ 3 კითხვაზე გაკეთებული პასუხების შემცველ წიგნშია ნათქვამი, „ფედერაციული გერმანიისა და საზღვარგარეთის წამყვან (გამორჩეულ) პიროვნებებს“ წარმოადგენენ. მიმართეს გაკეთებული მერს, უპასუხა მხოლოდ ორმოცდათერთმეტმა (58). მოპასუხეთა შორის არიან: ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი — რაინერ ბარცელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, მწერალი — ჰაინრიხ ბილი, ყოველკვირეული ცნობილი გაზეთის „დი ცაიტის“ რედაქტორი, გრაფის ქალი მარიონ ფონ დონპოფი, თვითონ ლევ კოპელევი, ევროპული პარლამენტის წევრი — ოტო ფონ პაპსბურგი, გოეთეს მიუძღვნის ინსტიტუტის პრეზიდენტი — კლაუს ფონ ბისმარკი, ნორდრინ-ვესტფალის პრემიერ მინისტრი — იოჰანეს რაუ, აწ განსვენებული, ბავარიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი — ფრანც იოზეფ შტრაუსი, ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე — ჰანს იონენ ფოგელი, „ცაიტის“ გამომცემელი — გერ ბუკერიუსი, ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე-ერპარტე ვებლერი, გერმანული ებრაელების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, — პეტერ ფრაიმარკი, გაზეთ „გერმანული ნაციონალური გაზეთის“ („ლონიგ ნაციონალცაიტუნგ“) შეფრედაქტორი — გერპარტ ფრაი, ქალაქ მაინის ობერბიურგერმაისტრი — იოკეს ფუქსი, დასავლეთ გერმანიის ანალგაზრდობის, ოჯახისა და ჯანმრთელობის მინისტრი — ჰაინერ გაისლერი, ეკოლოგიურ-დემოკრატიული პარტიის (ოდპ) დამაარსებელი — ჰერბერტ გრულო, გერმანელ გლეხთა კავშირის პრეზიდენტი, ბარონი კონსტანტინ ფონ ჰეიერმანი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხაზინდარი — ვოლტერ ლაისლერი, ქალაქ აქ ბრემენის ბიურგერმაისტრი, სენატის პრეზიდენტი ჰანს კარლ-ჰაინრიხ კოშნიკი, ავსტრიული ლიტერატურის საზოგადოების ხელმძღ-

ვანი — ვოლფგანგ კრაუსი, ნორდრინ-ვესტფალის მეცნიერებისა და კვლევის მინისტრი — როლფ კრუმიხი, აიპშტეტის კათოლიკური უნივერსიტეტის პრეზიდენტი — ნიკოლაუს ლობკოვიჩი, ცნობილი მწერალი — ადოლფ მუშგი, ბადენ-ვიურტემბერგის პრემიერ მინისტრი, ლიტერატურის, ცნობილი მწერალი — გერპარტ ცვერენცი, „ჰამბურგერ მორგენპოსტის“ გამომცემელი — ზებ შელცი და სხვანი. ეს პასუხები დაიბეჭდა ცალკე წიგნად: „სამი შეკითხვა გერმანიის თათბარზე: 58 პასუხი...“ აღუბრეტ კრაუსის გამომცემლობა, მიუძღვნა და ჰამბურგი, 1985.

ეს სამი შეკითხვა ასეთი იყო: 1. დღესდღეობით არსებობს თუ არა ერთიანი გერმანელი ერი, ანდა, სხვაგვარად, ერთიანი გერმანული ეროვნული კულტურა, ან არსებობს თუ არა სხვადასხვა გერმ-

ეროვნება!

ანულენოვანი კულტურები და ერები? 2. რა მნიშვნელობა ჰქონდა, თქვენი აზრით, გერმანიის ერთიანობას 1871 წლიდან 1945 წლამდე გერმანელი ერის, მისი სულიერი ცხოვრებისა და მისი კულტურის განვითარებისათვის? 3. როგორ წარმოადგენდა ორივე გერმანული სახელმწიფოს სულიერი და კულტურული განვითარების პერსპექტივები? ამ განვითარების როგორ მომავალს ისურვებდით?

ამ სამ შეკითხვაზე მე შემდეგი სამი პასუხი გავაგზავნე (ძალიან გათხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს ხდებოდა 1985 წლის დამდეგს, ხოლო ე. წ. „გარდაქმნა“ გამოცხადდა მხოლოდ აპრილში, და მე ჩემი პასუხების შესაძლებელ შედგენებზეც ვფიქრობდი):

1. ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად პირველ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელიც: ერთი მხრივ, დღესდღეობით არსებობს ერთიანი გერმანელი ერი, როგორც კულტურული ფენომენი — უფრო რეალური და კონკრეტული მესახება ერთიანი გერმანული ეროვნული კულტურის არსებობა (იოჰანეს ბობოვსკი, ერიკ არენტი, კრისტა ვოლფი, ჰაინრიხ ბილი, გიუნტერ გრასი, ზიგფრიდ ლენცი და სხვები, მე ერთი და იგივე ეროვნული კულტურის წარმომადგენლებად მესახება).

მაგრამ ამ კულტურის შიგნით, როგორც ყველაგან, არის სხვადასხვა ნაქვე. მაგალითად, ჩემი აზრით, ოტო გოტეს, პეტერ შიულტის, კუბანს, ვილი ბარტოკის, მაქს ციმერიანგის, არტურ გრანიცკის, ჰარი ტიურკის, მარტინ ბუნჰორნის და სხვების ნაწარმოებები ერთ ხაზს ქმნიან. შეიძლება, ცხადია, სხვა ხაზებზეც მოითხოვდეს (ამასთან, რასაკვირველია, ყოველი კლასიციკალი სქემატიზირებისა და გამარტივებისაგან გვეწვევა).

მაგრამ, მეორე მხრივ, დროთა განმავლობაში, გერმანიის ორ ნაწილში, უკეთ, ამ ორ სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ადამიანებში შემუშავდა განსხვავებული მენტალობა. ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეები მე მეჩვენებინა, თუ კი უარყოფით თვისებებს წამოვწვით წინა პლანზე, უფრო კონსერვატიული, უპირატესად ბერკოალურ საგნებზე ორიენტრებულნი, უფრო გაუცხოებულნი, უფრო განმარტობულნი, ვიდრე გერმანიის მოქალაქეები. მაგრამ, მეორე მხრივ, გერმანიის მოქალაქეები (ისევე უარყოფით თვისებებს ვუსვამ ხაზს) უფრო დოგმატურნი, არატოლერანტურნი, ციკათი არასრულფასოვნების კომპლექსით არიან შეპყრობილი.

2. „რა მნიშვნელობა ჰქონდა, თქვენი აზრით, გერმანიის ერთიანობას 1871 წლიდან 1945 წლამდე გერმანელი ერის, მისი სულიერი ცხოვრებისა და მისი კულტურის განვითარებისათვის?“ —

გვეკითხებთ თქვენ, მე შეკითხვას ცოტას შეგიკვირდა: არა „1945 წლამდე“, არამედ 1933 წლამდე, რადგან 1933-დან 1945-მდე გერმანიაში თითქმის არ არსებობდა სულიერი ცხოვრება და კულტურა. ერთი მხრივ, ამ დროს, გერმანიის სახელმწიფოებრივი ერთიანობა რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არ იქნებოდა არც ნაციზმი.

მაგრამ მეორე მხრივ, გერმანიის ერთიანობას 1871-დან 1833-მდე გერმანელი ერის, მისი სულიერი ცხოვრებისა და კულტურის განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ადგილის სიმცირის გამო, აქ არ შემიძლია უფრო დამწვრილებით ამ საკითხს შევხეო.

3. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღესმე გერმანიის ორივე ნაწილი გაერთიანდება. როგორ? რაინარა? ეს მე არ ვიცი. მე არც ფურტუროლოგი ვარ და არც პოლიტოლოგი, არც წინასწარმეტყველი და არც ნათელმხილველი, მაგრამ ორად ვახეილი გერმანია მთელი კაცობრიობის სირცხვილი და შეუხორცხველი ჰრილობაა, რომელიც უნდა მოშუშდეს. მე შემიძლია მხოლოდ წარმოვიდგი-

ეროვნება!

ნო, რა მდგომარეობაში ვიქნებოდა, ჩემი სამშობლო, გახლეჩილი რომ ყოფილიყო! (მე აქ ვერ ვამბობდი, იმას, რომ ჩვენ — ქართველები, ალბათ, უარეს მდგომარეობაში ვიყავით, რადგან გერმანიის ერთი, უფრო დიდი ნაწილი, მისივე თუ თავისუფალი იყო, ჩვენ რუსეთის კოლონიას წარმოადგენდით, რაც შედეგი იყო სოციალისტური რევოლუციის, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს, აღმერთებს და მისტირის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ომისა და კომუნისტური პარტიის ვეტერანი, ამხანაგი შალვა კერესელიძე (იხ. „თბილისი“, 22.10, 1990). თუ როგორ განვითარდება ორი გერმანული სახელმწიფო, ეს უმთავრესად მინიჭებული გერმანელებსა და მოქალაქეებს უნდა მიუყვინთ, ჩემი ბატონებო, მაგრამ გერმანიის დღევანდელი მდგომარეობა, ე. ი. გერმანიის გახლეჩილობა თვითონ გერმანელებმა „თავისდაუნებურად“ თვითონვე გამოიწვიეს“.

ასეთი იყო ჩემი პასუხები. ვერ ვთქვი ის, რომ საქართველოს ახლანდელი მდგომარეობაც, სამწუხაროდ, ისევე ჭარბელების ბრალი იყო, ისეთების, როგორებიც იყვნენ იოსებ ჯულაშვილი, სერგო ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, შალვა ელიაძე, ფილიპე მახარაძე და ძმები მისი, რომლებიც შემდეგ ერთმანეთს დაერივნენ. ...პასუხების გაგზავნის შემდეგ საკმაო ხანი გავიდა. 1985 წლის მარტსა თუ აპრილში შევიტყვე, რომ გამოქვეყნებულა ამ კითხვებისა და პასუხების შემცველ წიგნი, რომელშიც ჩემი პასუხებიც ყოფილა დაბეჭდილი. წიგნი, ცხადია, ფოსტით მე ვერ მივიღე. მას უნივერსიტეტის ე. წ. „საეფთხოლოში“ უკრეს თავი (ახლა სატელეფონო გაუქმებულია, მოგვიანებით წიგნი, რომელიც ჩემს სახელსა და მისამართზე იყო გამოგზავნილი, მე დამიბრუნეს. მაგრამ წიგნი მე უფრო ადრეც ჩამივარდა ხელთ: ისევდასივებ ამოქვეყნდა არაოფიციალური არხები. (ერთხელ ერთ-ერთი „კურირი“ „ჩავარდა“: მან მოსკოვში ერთ-ერთ დისიდენტს სხვა წიგნებს შორის მიუქანა ჩემთვის გადასაცემი წიგნებიც; სუკის აგენტები მას ფხედან მისცნენ და თავზე წაადგინეს „ფოსტის“ გადაცემის დროს. წიგნები ერთ დიდ გროას ეწერა: „ნორდრინისთვის“. სუკის აგენტებს არ გასჭირვებიათ ჩემი მონახვა: ერთ „მეშვენიერ“ დღეს პირველად და, ვიმედოვნებ, უკანასკნელად, აღმოჩენილი თბილისის სუკის შენობაში, სადაც ერთ-ერთ ოთახში დამკობნა მოსკოვიდან საგანგებოდ მოვლენილმა სუკის თანამშრომელმა — ჩინებში ვერ ვერობივარა — უნდოდა როგორმე შეიღობებინა ჩემი ფარული კავშირი ემიგრანტ კომპლექსთან. მოსკოველი „კავებელი“ გაბრაზდა, სასურველ შედეგს რომ ვერ მიღწვია, თუმცა გარეგნულად შედარებით

თავიანდი დარჩა ბოლომდე „კურირი ჩანს, „პერსპექტივა“ და „გლასნოსტის“ გარეგანი იყო). მე ძალიან ფრთხილად ვაგამზადე მასალა (ცხადია, მეტნაკლებად „სახიფათო“ ადგილებში ამოვიღე) და ვცადე მისი დაბეჭდვა. ყველა ვაზეთმა ცივი უარი მითხრა — ზოგმა: თვითონ შენთვისვეა ცუდი, საკუთარი თავის მტერი ხომ არა ხარო?! ზოგმა: გერმანიაში სწორედ ახლანდელი ვა-ნაცხადია, რომ გერ და გერ ორი სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოებიაო, მათ შეერთებულ ლაპარაკი შეუძლებელია და ა. შ. მხოლოდ ერთადერთმა პაატა ნაცვლიშვილმა გარისკა და დამიბეჭდა ეს მასალა თავის გაზეთში, რომელსაც მაშინ შემზარავი („ახალგაზრდა კომუნისტი“), ხოლო ახლა ფრიალ სიმპათიური სახელი ჰქვია („ახალგაზრდა ივერიელი“).

„შეწუნდა“, აწრიალდა სუკი: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მივარდნილან (იქაური თანამშრომლები არაფერ შუაში იყვნენ), პაატას ჩემს გამო, ძალიან დიდი უსამიანოება შეხვდა (ერთ ხანს ჩემი დანახვა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა) — ახლა ესარგებლობ შემთხვევით და ბატონ პაატა ნაცვლიშვილს, შესანიშნავ მეგავთესა და ჩინებულ ვაჟაკს ბოლიშს ვუხედა და მადლობასაც ვუხებნი!

...გერმანელი ერის, ისევე როგორც სხვა ერების, ისტორიაში არის მნიშვნელოვანი თარიღები, ერთგვარი ისტორიული ნიშანსვტები და შემობრუნების პუნქტები, თავისებური გზაგასაყარები.

ასეთ თარიღთა შორის შეიძლება გავიხსენოთ: 1871 წლის 18 იანვარი, როცა გერმანია გაერთიანდა და გერმანული დაარსებული იქნა გერმანიის იმპერია, პრუსიის ჰეგემონითა და ოტო ფონ ბისმარკის თათხნობით (გერმანიის იმპერატორი გახდა პრუსიის მეფე ვილჰელმ I).

1918 წლის 9 ნოემბერს დაიწყო გერმანიის იმპერია.

1919 წლის 11 აგვისტოს შეიქმნა ვაიმარის რესპუბლიკა.

1933 წლის 30 იანვარს დაიწყო ვაიმარის რესპუბლიკა. დამყარდა ნაციონალური რეჟიმი და საფუძველი ჩაეყარა როგორც ახლა აღნიშნავს, სტალინის პრუსიისეული სახელმწიფოს. გერმანია ორად გაიხლიჩა, შეიქმნა ორი დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფო: გერმანიის წყალბოთი მოხუცი დედის წყაროთა უფლება მოენახულენა საკუთარი შვილი, ნათესავები ნათესავებს ვერ ნახულობდნენ, დაძმებმა დაკარგეს ერთმანეთი, თუკი ისინი გერმანიის ორ სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობდნენ. 1961 წ. გაერო-მა ბერლინში აღმართა კედელი, რადგან გერ-ის მოქალაქეები მსოფლიოდ ტოვებდნენ სოციალისტურ „სამთხისს“.

ასევე უნიშვნელოვანეს თარიღად მივიტყვ და სახელმწიფო შეგა გერმანიის ისტორიაში 1990 წლის 3 ოქტომბერი, როცა ოფიციალურად მოსხვდა გერმანიის გაერთიანება და საბოლოოდ წარსულს ჩაბარდება ძველი გერ-ი და გერ-ი: აღსდგება ისტორიული სამართლიანობა და ამიერიდან შვილს შეეძლება დაუბრკოლებლად დედის დაკრძალვაზე, ხოლო ძმის დის ქორწილზე დასწრება!

3 ოქტომბერს ევროპის რუკაზე მოხდება თვისებრივი ცვლილება: უქნისოლოდ, ყოველგვარი რეკორდის თუ პუტის გარეშე გეოგრაფიული რუკიდან გაქრება გერ-ი, გერმანიის ფედერაციული გერმანიის შეიქმნა რამდენიმე ახალი მხარე და ამიერიდან იარსებებს, ერთიანი, ძლიერი, უჭირლობო, უნაქარი „გერმანია (თუ რა ერქმევა ზუსტად ახალ გერმანიას, ჭერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის — ამას საერთო-გერმანული პარლამენტი გამოაწყვეტს).

II მსოფლიო ომის დამთავრების 45 წლის შემდეგ გერმანულ მიწაზე იქმნება თვისებრივად ახალი, ჰუმანიტარული, მშვიდობიანი, ანტიფაშისტური და ანტისტალინისტური გერმანია — ყველა სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანიტარული ქვეყანა.



როგორც იცით, ამას წინათ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შეწყველების კომისიამ კოლონიაში მყოფი 80 ქალი გაათავისუფლა. ეს წერილი სწორედ მათ გულისხმობს. დღეისათვის კოლონიაში 190 ქალი იხდის სასჯელს, რომელთაგან 14 მერვე ჯგუფის ინვალიდია. მათ შორის შეიძლება იყოს დაავადებული. პატიმარ ქალებს ბევრმა მოინანია საქუთარი შეცდომა. მათ იჯახი ელის, შეიძლება ელაინ. იმედია, შეწყველების კომისია მათ მიმართ მუშაობას გააგრძელებს.

ქებით შემოსეთ უფალი, რამეთუ კეთილია, რამეთუ მარადიულია წყალობა მისი. (ფსალმუნები)

წინდაწინ ვინ იცის, ვის რას უმზადებს მტარვალს წუთისთველი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერს ბედისწერასაც ვერ დავაბარებთ. აქ ამბობდა კონსტანტინე გამსახურდია, რომ „მედისწერა არა ის, რაც ადამიანს შეემთხვევა, არამედ იგია ბედისწერა, რასაც ადამიანი საკუთარ სულში ატარებს თავად“.

და აი, ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილი დანაშაული. შემდეგ ტყვეობა — ციხე, საკარი, ნესტიანი კედლების სიცივე, თითქმის დაუსრულებელი, ნაღვლიანი ფიჭვები, უსუსურის ტრელები, სულიერად დატყვევებული, დამცირება.

ყველაზე საცოდავი და უსუსური ასეთ ტყვეობაში ქალები არიან. ქალი — ბებია, ქალი — დედა, მშობლის თბილ კალსს მოწყვეტილი გასათხოვარი გოგონები მოწყვეტილი არიან იმ დიდ სიყვარულს, რაც ოდითგანვე ადამიანისათვის ღმერთს დაუწყებია.

ჩვენ, კოლონიაში მყოფ ქალებს, ერთადერთი სათხოვარი გვექნება უფალი — ცოდვანი შეგნდო ჩვენი და ტყვეობისაგან გესხენით.

და აი, 1989 წლის 10 სექტემბერს ქალთა კოლონიაში ერთგულ-ლი მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლმა მერაბ კოსტავამ შემოაბოჯა. „ნუ გეშინიათ, ქალებო, ჩვენ — ყველა პარტიის წარმომადგენლები — ერთიანი ძალით ყველაფერს ვილოებთ, რომ როგორმე ამ ტყვეობიდან თქვენს თბილ კერას ვადავადრე გავხაროთ“.

— გვითხრა აცრემლიანი ქალებს და — „ვინ დედასა, ქართველ ქალებს ციხეში რა უნდაო“, — ამოიკვირესა, წასვლისას კი მიძინებდა სიხარული, რომ „რა ეკაცობაა, მე მივდიოდი და თქვენ აქ გტოვებდით“.

ერთი თვის შემდეგ მერაბ კოსტავას დალუბა მენივით დაგატყდა თავს. და ამ მწყურვალისას მოგვევლინენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ წარმოგზავნილი მამა ტარიელ და მამა ზურაბი. მათ გადმოგვიცხადეს უწინდისა და უნეტარების ლოცვა-კურთხევა, დაგვირგვინეს ჯვრით, ლოცვებით, აღსარებით მერვე ზაფხულზე მიგვადებინეს. ამის შემდეგ მათ ყოველ ოთხშაბათს მოუთმენლად ველოდით ზოღმე ქალთა კოლონიაში გახსნილ პატარა სამლოცველოში. უწინდისა და უნეტარებისა დახ-

მარება აღვითქვა მათ, ვინც მწარედ ვინაიბდით ჩადენილ ცოდვებს.

1990 წლის 14 თებერვალს ქალთა კოლონიაში საჩუქრებით გვეწყვიტნენ საქართველოს ერთგული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლები — ნანა თლილაძე, ლეო აბულაძე, კობა მძევავაძე, ქეთილი დადიანი და სხვები, ახალი წელი მოგვილოცეს და დახმარებასაც დაგვიპირდნენ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე გვიშეამდგომლეს აგრეთვე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — ვახტანგ კოტეტიშვილმა და სხვებმა. ჩვენი შეწყველების თხოვნა ყურად იღეს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარაძემ, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა და 82 ქალი გაგვათავისუფლეს.

მეგობრებო, ბედნიერების იმ განცდის აღწერა, რასაც ჩვენ და ჩვენი მახლობლები განვიცდიდით განთავისუფლების შემდეგ. მადლობას ვუძღვნით ყველას, ვინც გულთან მიიტანა ჩვენი ტანჯვა და დაგვეხმარა. გვგროდეთ, ვიცით თავისუფლებისა და პატიოსანი ცხოვრების ფასი, მაგრამ თან გამოგვეყვანა იმ მიუსაფარ კედლებს შიღმა დარჩენილთა წუთილი, სევდა. ჩვენ ვილოცებთ მათთვის, ამავე დროს ვთხოვთ ყველას, სანამ ამ ქალებს ყველაფერზე საბოლოო დაუბრუნებიათ ხელი, მიეშველეთ, დაუბრუნებთ, გვერწყუნეთ, მათ შორის ბევრია ამისი ღირსი.

ქალთა კოლონიიდან განთავისუფლებული 82 ქალი.

წინასწარჩვენო კამპანია დიფუზი. არჩეულია, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, დანიშნულია საარჩევნო კომისია № 15 საარჩევნო ოლქში კომპარტიისთვის ხელსაყრელი პიროვნებებით. შეიძლება იფიქროთ, რატომაა დანიშნული? ამას ახლავე მოგახსენებთ.

შემდგომი ორგანოების მიერ ფუნქციონირების საწარმოო გაერთიანება „ისანის“ პროფკომიტეტის თავმჯდომარეს რობინზონ ქვიციანი დაავადეს საწარმოში ჩაეტარებინა კრება და კრებაზე აერჩიათ № 15 საარჩევნო ოლქში საარჩევნო კომისიის წევრი. ბოროტი ხმები ამბობენ და, არც თუ უსაფუძვლოდ, რომ სავარაუდო კანდიდატიც კი ზევად იყო მითითებული.

კრება, რომლის ჩატარების ხანგრძლივობას ვარაუდობდნენ 10-15 წუთს, ერთ საათს გაგრძელდა და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ კრებამ კომუნისტებს უნდობლობა გამოუცხადა; დაისვა საკითხი საარჩევნო კომისიის წევრად არ ყოფილიყო დასახლებული კომუნისტური პარტიის წევრი ან წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი პარტიის წევრი. ეს კი კომუნისტების ნამდვილ კრახს ნიშნავდა, მათ მიერ წინასწარ შერჩეული კანდიდატი ვერ გავიდოდა. კამათის შემდეგ აბრეკა „ისანის“ კოლექტივში არსებულ დემოკრატიულ კავშირი წავიდა კომპრომისზე, კრება რომ არ ჩაშლიყო, და გადაწყდა, კენჭი ეყარათ ყველა იმ პიროვნებისთვის, რომელთაც კრება ნდობას გამოუცხადებდა. დასახლებულთა შორის იყო ის პიროვნებაც, რომელიც წინასწარ იყო მითითებული შემდგომი ორგანოების მიერ. მაგრამ

მან თავისი კანდიდატურა მოხსნა, რადგანაც ზედვდა გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდა. საბოლოოდ კრებამ ნდობა გამოუცხადა ამავე საწარმოს თანამშრომელს ზურაბ ჯობავას.

ოქმი კრების ჩატარების შესახებ გადაგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. გვეგონა, რომ № 15 საარჩევნო ოლქში, სადაც ჩვენს საწარმოში მომუშავეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამომრჩეველია, კომისიის ერთ-ერთი წევრი ჩვენი თანამშრომელი იქნებოდა, მაგრამ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სიუჟეტში რატომღაც იგი არ აღმოჩნდა. გამოდის, რომ კომუნისტებისათვის სასურველი პიროვნება რადგანაც ვერ გავიდა № 15 საარჩევნო ოლქის კომისიის წევრად, მათ შორის იმის იმით, რომ კრების მიერ არჩეული საარჩევნო კომისიის წევრი ამოიღეს და მის ნაცვლად კომუნისტური პარტიისათვის ხელსაყრელი პიროვნებები შეიყვანეს.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, მოვითხოვთ პასუხს იმის შესახებ, თუ რატომ იქნა ამოღებული ზურაბ ჯობავას გვარი № 15 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის წევრობის სიდიდან. მოვითხოვთ, გვაცნობოთ, თუ რა პრინციპით იქნენ დანიშნული საარჩევნო კომისიის წევრები № 15 საარჩევნო ოლქში ისანის რაიონის ალმასკომს და პარტიის რაიონის, აგრეთვე იმათ ვისაც ეს ეხებოდა.

ლ. მსაქმა, თ. ჯინაბაძე, დ. პარხაძე და სხვ. სულ 148 ხელმოწერა.

ამ დღეებში, 3-დან 16 აგვისტომდე ახმეტის რაიონში სტუმრობდა წმიდა ნინოს ნაკვალევზე მოგზაურ მომლოცველთა ჯგუფი თბილისის პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის წინამძღვრ მამა ელისეს ხელმძღვანელობით. ჯგუფს მეგზურობდნენ წმინდა ილია მართლის საზოგადოების ახმეტის რაიონის ფილიალი წევრები. ფრად სასარგებლო აღმოჩნდა ეს მისია რაიონის მოსახლეობის, მეტადრე ახალგაზრდობისათვის. თავი რომ მოგვეჩვენა მდინარე ისტორიული წარსულით, მამათა მალაი კულტურით, უფლის სახლების სიმრავლით, ზოგან მათი სახელებიც კი დავეწყებოდა მოსახლეობას. არადა თურმე რა გონიერლობით და დღითიური შთაგონებით ყოფილა განლაგებული უფლისა და წმინდანთა სახლები რაიონის ტერიტორიაზე. რა მრავალსტეპეულია ყოველ მალაობზე ციხე და ეკლესია არ ირრე ერთად. თითქმის არ არის უეკლესიო სოფელი. თითოეული მათგანი საბაყაო არა მარტო თავისი დანიშნულებით, არამედ თავისი ისტორიული წარსულითაც. ამიტომ გამოდგავიდა დროული და სასარგებლო მათდამი შენელებული ინტერესის გაღვივება.

ჯგუფმა ორი კვირის მანძილზე მოლოცვა თითქმის ყველა ეკლესია ღიდასა თუ მცირე სოფელში, რაიონის ცენტრში. ალავლინეს უფლისა და წმინდანების საიდუმლო პარალელურად მათსავე სახელობის წმინდა ადგილებში — თორმეტ სირიელ მამათაგან ერთ-ერთის იოსებ ალავერდელისა მის პირველ საყდარ IV საუკუნით დათარიღებულ ღვთაებში ახმეტაში და ალავრდის ტაძარში,

იოანე ნათლისმცემლისა — ალვანში, წმიდა ნინოსი — ქისტაურში, ტყვეთა მხსნელის წმიდა გიორგისა — აწყურში, ღვთისმშობლის ხარებისა და მიძინებისა — ახმეტასა და ჯოყლოში, ქეთევან და თამარ დედოფლებისა — მატანსა და ზორხელში, თამა მოიქეულისა — ოქოთში, სამების — მამის, ძინა და სულიწმინდისა — მატანსა და ალვანში, ჯვარი ვახისა აკურთხეს ახმეტის ჯვარატიოსანში. ბახტრიონის ბრძოლის 330-ე და მარაბის ომის 375-ე წლისთავის ნიშნობილად დღეებში მამულისთვის თავადებული 9 ათასი ქართველის, წმიდა მოწამე ბიძინასი და ცხრა ძმა ხერხეულიძის სულის საოხი პანაშვიდი გადაიხადეს ბახტრიონის ციხის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ხოლო უროვნული დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლის ქაქუცა ჩოლოყაშვილისა — მატანის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ჩოლოყაშვილების კარის ეკლესიაში, მათსავე საგვარეულო საძვალეში. ქრისტიანული წესით ჩატარდა სალიტანიო ნათლობები ალვანსა და ილტოში. მამა ელისემ, მამა იაკობმა და მამა ფარნაოზმა ადავლინეს რაიონის ყველა მცხოვრების საჯანმრთელო ლოცვა.

ყველა წმიდა საუფლო, სადაც კი მოლოცეს სტუმრებმა, შეამკეს შესაბამისი სახელობისა და მაცხოვრის ხატებით; სასულიერო ლიტურატურა, ბიბლია, ჯვრები, ხატები, სასურველი საჩუქრები გადასცეს ყველაგან მასპინძლებს, რამაც გულწრფელად გაახარა ძველი თაობის მორწმუნენი, რწმენა გაუღვიძა ბევრ შუახნისა და ახალი თაობის ქრისტიანს და ჩაუსახა

იმედი გოლგოთათავილი ქართველი ერის სულის ზეობისა და აღდგომა-აპოკალიფსისა.

ქართავან ძლიერთაგან მერყევი არაერთი პიროვნება დააფიქრა მოშლოცველთა ჯგუფის სახელით რაიონის მოსახლეობისადმი მამა ელისეს შორს გამიზნულმა მიმართვამ, რომელიც გამოქვეყნდა რაიონის გაზეთ „ბახტრიონის“ ფურცლებზე. დიდი მადლობა წმიდა ნინოს გზებზე მომლოცველთა კრებულს, მის ინტელექტუალურ ხელმძღვანელს მამა ელისეს, ალავრდის წინამძღვრ მამა იაკობს, მატანის ღვთის მშობლის წინამძღვრს მამა ფარნაოზს, რომლებმაც დიდი შრომა და ღვაწლი გაიღეს რაიონის ღვთის სახლების მრავალციხიანი ხეებისაგან, ზოგან კი უზერხული დანიშნულებისაგან გასათავისუფლებლად, ხალხში დაკარგული რწმენის გამოსადვიებლად, რამაც მარტალური პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა ადგილობრივი მოსახლეობა.

მადლი და დიდება უწმინდესსა და უნეტარესს, ერის მამას ილია მეროეს, რომლის ლოცვა-კურთხევით დიდი და სასარგებლო მისია შეასრულა ჩვენს რაიონში წმიდა ნინოს გზებით მოგზაურ მლოცველთა და სულიერ მამათა კრებულმა.

ამგვარ ღონისძიებებს თუ ტრადიციული ხასიათი მიეცება, ეკლესიაც მოიგებს და მისი მრევლიც იმრავლებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ერთი დროშის, ერთი ენის და ერთი რწმენის სამება ერთარსებულ ჩვენს კონსოლიდაციას.

ვალენტინა ღვიშვანიძე, ახმეტის რაიონის სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

მაროხა ოხი ექსტრემისტების შხრიდან, და დღემდე, როცა დღესაც არ ცხრება მათი თარეში. ქართულ მიწაზე, ბატონი ვაჟა ადამია იყო და რჩება სანაჩაბლოში მცხოვრებ ქართველი ხალხის იმედად.

იმ დროს, როდესაც აქ მცხოვრებ ქართველობას ძლიერ გვიჭირდა, ბატონი ვაჟა ადამია მუდამ ჩვენს იმედს და ნუგეშს წარმოადგენდა და წარმოადგენს.

მღენად სასურველია დღესდღეობით საქართველოში შექმნილი ვითარების დროს „წყალობამოციქელის“ გავლენა ქართველებს შორის? ზომ არ აჯობებდა 12 სვანის სანაცვლოდ ყოფილიყო 12 მოქალაქე?

გამოქვეყნებული განცხადება შეურაცხყოფს ერთ-ერთ ძირძველ ქართულ ტომს და თითოეულ ჩვენგანს მოგვაცენა აუწონელი გულის ტკივილი.

მიკონ სუხალიანი. ქ. ხოხუმი.

შეიქმნა ქართველ მაშველთა კორპუსი

(დასასრული) საქართველოს ბუნების, ქართულ ტრადიციულ ღირებულებებთან და კულტურის ძეგლთა დაცვა, სოციალურ-დემოკრატიული წინასწარობის აღდგენა-მენარჩუნებისათვის ხელისშეწყობა. ქართველ მაშველთა კორპუსის საორგანიზაციო, მატერიალური და

კონტიგენტურ ბაზას წარმოადგენს საქართველოს მხედრობის, რომელიც უკვე ფუნქციონირებს წელიწადნახევარია და მოკრძალებული გამოცდილება შეიძინა ექსტრემალურ ვითარებათა განმუხტვაში, მონაწილეობა მიიღო მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში (სომხეთი, ირანი). ალბიურმა ჯგუფმა სულ ახლახან

დალაშქრა უსახელო მწვერვალი სვანეთში, რომელსაც უკვე ეწოდება „საქართველოს მხედრობის“ ამიერიდან საქართველოს მხედრობის შტაბ-ბინა ქ. შავნაბდა იქნება, აგრეთვე, ცენტრალური ბაზა და შტაბბინა ქართველ მაშველთა კორპუსისა, მისი კლუბი და კანცელარია ვერის ბაღის ალბიურ კლუბში.

„ქართველ მაშველთა კორპუსის“ წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, გაეცნო და აღიარა კორპუსის წესდება, აქვს სურვილი აქტიური მონაწილეობა მიიღოს კორპუსის საქმიანობაში და რეკომენდირებულა არა ნაკლებ ორი წევრის მიერ. იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში „ქართველ მაშველთა კორპუსის“ რაზმების სტატუსი

დაკონფირმება როგორც ქართველ სამხედრო ვალდებულთა ალტერნატიული სამსახური. „ქართველ მაშველთა კორპუსის“ ყოველდღიურ მუშაობას ხელმძღვანელობს კორპუსის უფროსი. საერთო ხელმძღვანელობას ეწევა კორპუსის საბჭო. „ქართველ მაშველთა კორპუსის“ საბჭოს თავმჯდომარე პაროხანოვი ჯაბა იოსელიანი.

საქალაქი ივერიელი

